ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 ივნისის ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 17 ივნისის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № N10

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

17 ივნისი 2024 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე- საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

პაატა გოგოლაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ბესიკი კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე- საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარი ლურსმანაშვილი იურიდიული,სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

პავლე კიკალიშვილი საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

ირმა ვრფხვაძე ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარე

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე,

სათათბირო ხმის უფლებით: ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველს“ ს თავმჯდომარის მოადგილეები: ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, საკრებულოს წევრი ეკატერინე შველიძე.

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ირინე ჩხეიძე მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი,

ნანა კიკნაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის

ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნ. თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ი. ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამარ მაღრაძე ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"- ს ჟურნალისტი.

ნინო კაპანაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის" ჟურნალისტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ
მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ **მომხს: ირინე ჩხეიძე**

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ **მომხს: ნანა კიკნაძე**

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვა
მომხს: ბესიკი კვირიკაშვილი

4. "ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ირინე ჩხეიძის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ, სხდომის თავმჯდომარემ რომელმაც შეკითხვით მიმართა მომხსენებელს, მერიაში თუ არსებობს კომისია, რომელიც იხილავს საკითხებს კულტურული მიმართულებით, მაგ. სად უნდა განთავსდეს ესა თუ ის ძეგლი, ან შენობის კედლების მოხატვა მხატვრული ანბანით. ჩვენ გვყავს კარგი ახალგაზრდები, რომლებიც ძალიან ლამაზად წერენ და ეს უნდა გამოვიყენოთ.

ი. ჩხეიძემ, მომხსენებელმა განმარტა, რომ დასახელებულო მიმართულების კომისია არ არსებობს. რაც შეეხება კედლების მოხატვას იმის გამო, რომ მიმდინარეობდა ფასადების შეკეთება ამის გამო ვერ მოხერხდა თუმცა კარგი იდეაა და მივესალმები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2024 წლის 01 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე11

წინააღმდეგი .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2024 წლის 01 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ, სხდომის თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა მომხსენებელს რა პრინციპით მოხდა შერჩევა სკოლებისა, სადაც მიიყვანეთ ფსიქოლოგები.

ნ. კიკნაძემ, მომხსენებელმა განმარტა, რომ ზონების მიხედვით შეირჩა და ეს განხორციელდება ეტაპობრივად და მივალთ ყველა სკოლაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2024 წლის 01 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2024 წლის 01 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია საკითხზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვა

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2024 წლის 01 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2024 წლის 01 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე "ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2024 წლის 01 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე11

წინააღმდეგი .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2024 წლის 01 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს 2024 წლის 01 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 ივლისის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ირინე ჩხეიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვა

მომხს: ბესიკი კვირიკაშვილი

4. "ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე